# უსაფრთხოების წესები

1. თუ იგრძენით გაზის სუნი არ აანთოთ სანთებელა და ნათურა. სასწრაფოდ გადაკეტეთ გაზის ონკანი, გაანიავეთ ფართი და დარეკეთ საზოგადოების ოფისში ნომერზე 2 64 28 69.

2. თუ გაზქურაზე გაზის ალი ფერს იცვლის ოთახში ჟანგბადის ნაკლებობაა. გაანიავეთ ბინა დღეში რამდენჯერმე.

3. არ დატოვოთ ანთებული გაზი უყურადღებოდ, შეიძლება ჩაქრეს და გაზმა გაჟონოს.

4. არ გადაადგილოთ დამონტაჟებული გაზქურა, შეიძლება რეზინის მილი გაძვრეს და გაზმა გაჟონოს.

5. არ დაამონტაჟოთ კუსტარული დანადგარი.

6. გაზის ქსელი და გაზზე მომუშავე დანადგარი უნდა დაამონტაჟოს მხოლოდ სპეციალისტმა.

7. კატეგორიულად აკრძალულია გათიშული გაზის ქსელის თვითნებურად ჩართვა.

8. დაუშვებელია გაზის ქსელის და გაზზე მომუშავე დანადგარების სარდაფში და ისეთ ფართში დამონტაჟება რომელიც არ ნიავდება.

9. აუცილებელია ფართში, სადაც დამონტაჟებულია გაზზე მომუშვე ხელსაწყოები, სავენტილაციო არხი მუშაობდეს გამართულად და ფანჯარას ჰქონდეს სარკმელი ან გადმოსაკიდი.

10. სს „ენერგოკავშირი"-ს თანამშრომლებს მიეცით საშუალება შეამოწმონ გაზმომარაგების ქსელი.

11. სახლიდან გასვლის წინ აუცილებლად გადაკეტეთ გაზის დანადგარებზე ონკანები.

12. თუ ბინაში არ ცხოვრობთ და დაკეტილია რეკომენდირებულია მოითხოვოთ გაზის მიწოდების დროებით შეწყვეტა, უსაფრთხოების მიზნით.

13. ახალ ფართში გადასვლამდე მოითხოვეთ გაზის შიდა ქსელის უსაფრთხოების შემოწმება.